პოლონეთის არქეოლოგიური მისია ქუთაისში

2017 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ქუთაისში ქართულ - პოლონური მუდმივმოქმედი არქეოლოგიური მისია ამუშავდა. მუდმივმოქმედი არქეოლოგიური მისიის განსაკუთრებულობა იმით გამოიხატებოდა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევაა არქეოლოგიის დარგში, როცა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების ინსტიტუციონალიზება მოხდა. უფრო ზუსტად კი, პოლონეთი პირველი ქვეყანა გახდა, რომელიც მუდმივმოქმედი არქეოლოგიური მისიით იქნა წარმოდგენილი საქართველოში.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ" 2018 წელი პოლონური კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოაცხადა, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა პოლონური მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში. სააგენტოს ცნობით, ეს ღონისძიება უმნიშვნელოვანესი პროექტს წარმოადგენდა, რადგან მოიცავდა ქუთაისის ძველი კოლხური კულტურული ლანდშაფტის არქეოლოგიური კვლევას. სწორედ ეს კვლევა გახდა რამდენიმე თვის წინ საქართველოში პოლონური არქეოლოგიური მისიის დაფუძნების ერთ-ერთი მიზეზი. აღნიშნული მოიცავდა არა მხოლოდ არქიტექტურული მემკვიდრეობის მიმოხილვასა და ისტორიას, არამედ, ზოგადად, პოლონური გავლენების კვლევას ქართულ კულტურაში. პოლონეთის საელჩოს შეფასებით, ძველი კოლხეთის კულტურა "ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას" წარმოადგენს, რომლის კვლევაც პოლონეთისთვის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ევროპული კულტურის ფესვების კვლევის კონტექსტში. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ვარშავის უნივერსიტეტთან ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც ქართულ კულტურაში, არქეოლოგიის სფეროში აქტიურ თანამშრომლობასა და ნაკვალევის კვლევას მოიაზრებდა. პოლონური მხრიდან ექსპედიციის ხელმძღვანელი ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი - რადოსლავ კარაშევიჩი გახლდათ, ხოლო საქართველოს მხრიდან, - ქუთაისის ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალის მმართველი, როლანდ ისაკაძე. აღსანიშნავია, რომ ექსპედიციაში ჩართვა ორივე ქვეყნის დოქტორანტებსა და სტუდენტებს შეეძლოთ.

აღსანიშნავია, რომ იდეის განხორციელებაზე საქართველოსა და პოლონეთის შესაბამისი უწყებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, - ნიკოლოზ ანთიძის ხელმძღვანელობით, ქართული დელეგაციის ვარშავაში ვიზიტისას შეთანხმდნენ. პოლონეთის დელეგაციამ ხაზი გაუსვა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი კვლევის ჩატარება თვეების წინ პოლონური არქეოლოგიური მისის დაფუძნების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მათი თქმით, აღნიშნული მისიის ქ. ქუთაისში განთავსება მეტად შეუწყობდა ხელს კულტურისა და განათლების სფეროში ქვეყნის დეცენტრალიზაციასა და ქალაქის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ აღნიშნული ექსპედიცია ქალაქ ქუთაისში მოღვაწე სპეციალისტებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებისა და თანამედროვე კვლევით ტექნოლოგიებზე წვდომის უნიკალურ შანსს აჩენდა. ღონისძიებას დიდი როლი ჰქონდა ქუთაისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სპეციალობების განვითარების ხელშეწყობაშიც.

მარიკო ნაცარიშვილი